ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4237068

ნომერი: AR1638517

თარიღი : 18.10.2018

გაცემის თარიღი : 26.10.2018

გაცნობის თარიღი : 26.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ატენის ქუჩის შესახვევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ურიდია პ/ნ 01024060686
- ჭავჭავაძის გამზ.37

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ატენის ქუჩის შესახვევი, შპს „ჰიდროლეა ტრეიდინგი“-
ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.14.005.242), დროებითი სამშენებლო ღობის და ჯიხურის განთავსებას. დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გაცნობებთ: ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ № 407222 ბრძანებით გაცემულია სასტუმროს მშენებლობისთვის ნებართვა გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, უსაფრთხოების თვალსაზრისით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას (და არა სტაციონალურის), რაც შეეხება I კლასის დროებითი შენობა-ნაგებობების მშენებლობას მოგახსენებთ, რომ თუ თქვენს მიერ დაგეგმილი შენობა ნაგებობა არის დამხმარე (მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო დროებითი ფუნქციით), საჭიროა აღნიშნულიც გაითვალისწინოთ მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, რაც ასევე ღობესთან ერთად უნდა აისახოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის გენ– გეგმის ნახაზზე (მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო დამხმარე ნაგებობის სახით, დროებითი სტატუსით ,მშენებლობის დასრულებამდე) და ასევე კალენდარულ გრაფიკის ჩამონათვალშიც უნდა მიეთითოს მშენებლობის დასრულების ეტაპზე ამ ნაგებობის დემონტაჟისა და მისი ტერიტორიიდან გატანის შესახებ ინფორმაციაც.
შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის კუთხით გასცეს თანხმობა დროებითი ღობის და ჯიხურის მოწყობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.